



ମୁଦ୍ରାବଳୀ

ପ୍ରକାଶକ

832

1968

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿՈՎԱ ԱՌԱՋԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՑՈՒՑ

N° 48

ମୁଦ୍ରାକାରୀ

26 მაისის—50 წლისთავი.

პ. სარჯველაძე—ნოე ჭორდანია.

№.—ღამოუკიდებლობის გამოცხადება.

სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვა.

ან-ბანი—ბრძოლით მონაპოვარი.
უცხოელები საქარ. დემოკ. რესპუბლიკის შესახებ.

ამირანი—იმედი და რწმენა.

ა. ბ—მე—თავისუფლების შიში.

განვითარებული სოფია მდგრადი და მარტინის მიერ განვითარებული სოფია მდგრადი და მარტინის მიერ

ბლატონ ლეგავა—შეგობრის წერილიდან.

ვალიგვა ჩებისიძე—ქ-ხ მერი ღად
ნ-ი ს-ი ა-ი ა-ი ა-ი ა-ი ა-ი

ნიკო ურუმაძე—ფილიპე ჭარაძე.

b. ყურელიძვილი—ხიკიფორე (ხი)

ალექსანდრე შელიავა. და სავ.

—

26 მაისი, ქართველი ერის და ხალხის აღდგომის, თავისუ-
ფლების და დამოუკიდებლობის დღე.

ქართველი ხალხი პირდაპირ უშუალოთ გათვითცნობიე-
რებული და გამთლიანებული პირებით გამოვიდა საქედაცნო
ასპარეზზე 26 მაის და მისცა დასაბამი ახალ ისტორიას, თქვა
ახალი სიტყვა, გამოკვეთა თავისი სავალი გზა. მან აქ პირვე-
ლათ მიაძახა მომავალს: მე ვარ ჩემი თავის ბატონი, უნდა ვი-
ყო თავისუფალი.

ჩვენს იცვლება ცველაფერი, იქსოვება ახალ-
ახალი მოვლენათა ქსელი, ხდება გადაჯუფება-გადმოჯუ-
ფება, მთელი რიგი ისტორიული გადასხვადერებისა.

არ იცვლება მხოლოდ ერთი მოვლენა, არ იცვლება 26
მაისი; ის რჩება იქ, სადაც დაიბაჭა, უცვლელათ, შეუძლე-
ლათ, ამაყათ.

და ეს იმიტომ, რომ მისი ძირი, მისი ფესვები ლრმათ არ-
ის გადგმული ქართველი ერის სულსა და გულში, მან სამუ-
დამოთ დაიპროც მთელი ხალხი, მან აშკარათ წდანახვა მას
სასიცოცხლო გზები.

26 მაის ქართველობა დაეპატრონა თავის თავს, როგორც
ერთი მთლიანი ერი, გამოკვეთა ერთი ხალხი ჭირზე და ლხნი-
ში განუყრელი. მან სთქვა თავისი საკუთარი სიტყვა ცხეოვნე-
ბის ცველა დარგში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ
და ნაციონალურ ურთიერთობაში და მან ეს აღბძჭდა ჯერ
საქმით და შემოვეგ სიტყვით—კონსტიტუციაში.

მოსკოვმა მოგვტაცა ეს სიდიდე, გასტეხა ჩვენი წყლი-
ლება, მოსპონ ჩვენი თავისუფლება. ვერ მოგვტაცა მხოლოდ
ჩვენი სული, ვერ გასტეხა ერის მორალი, მისი მთლიანობა,
მისი გადაწყვეტილება—იყოს თავისუფალი.

26 მაისი ბუღობს თეოთულ ქართველში: ის აღარ ფრი-
ალებს გამონაცნილათ საქართველოში. ის ფრიიალებს გამოუ-
ჩენებათ ცველა ქართველში. აი ეს მორალური ძალა, ეს სუ-
ლიერი სიმტკიცე და ურყვევი იდეალი არის აულებელი ი სიმა-
გრე. რასაც შეასკოდება მწერთა იერიშები. ის თავდებია. უტ-
ყუარი თავდებია მისი საბოლოო გამარჯვების. ამ ისტორი-
ულ სტიქიას ვერავითარი ძალმომჩრეობა ვერ მოსპობს, ვერ
შეაჩერებს; იგი გადალახავს ცველა დაბრკოლებებს და ამა-
თუ იმ გზით აღსდგება—26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანა-
თებს და ერის მსეულობას უმეთაურებს.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობა ცვალებადია, ხან
ერთი ხარი ჩამორექს, ხან მეორე. ამ ისტორიულ ზეირშთა
სრბოლაში, ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პა-
ტარა ნავი გასცურავს სამშეიდობოზე მხოლოდ ერთი საზუ-
ლებით—მისი მთლიანობის შენახვით, მისი თავის თავის
ერთგულებით, მისი 26 მაისით.

ხაქ. ს.-დ. პარ, საჩ.-გარ. ბიური.

6 3 9 5 3 6 8 5 6 0 5.

(თაბადების 400 წლისთავის გამც)

საკუპნე გავიდა იმ ბედნიერ წლიდან, როცა საქართველოს დემორატიულ კრესპუბლიკის პრეზიდენტმა პირველად იხილა მშის სინათლე. ამ დღის ღირსეულად აღვინიშვნა ჩვენს პირობებში თუ შეუძლებელია, არა ნაკლებ. თითოეული ქართველი ვისთვისაც ძირიფასა ეროვნული თავისუფლება,— პატივისცემით მოიგონებს მის პირვენებას. გაიხსენებს იმ ფრიად ისტორიულ დღაწილს, რომელიც ნ კორდანიამ მიუზღულ ქართველ ერს. იგი გამოჩნდა ქართულ საზოგადოას-პარეზზე უსაზღვრო უიმედობის ხანაში. 90 წლის რესერის მონაბამ არა მარტო აპყარა ქართველ ხალხს სახელმწიფო ბრივი უფლება და ორსება, მან საცემით განდევნა მმართველობიდან ქართველი ელემენტები და კანონს გარეთ გამოაცხადა სკოლა, ენა, ეკლესია. ერთი სიტყვით, ყოველი ის რაც ერის საგანძუროს შეადგინს...

ამ ხანიდან მოყოლებული მაღლაპა, თუ აქვარს, ცი-
ნებში თუ თავისუფლებაში გადასახლებაში თუ უცხოეთში,
იგი იტანდა ნივთიერ სივიწროლეებს, დევნას, სულიერ ტყვეო-
ბას,—ხალასიანი იმედით, იდეური გატაცებით. გადაქერდა
ზრდოლები სიტყვით, წერით, ორგანიზაციულ იშტევით.

საბოლოო მიზნის მისაღწევებ, — მან დაისხა მიზნებთ მშრომელი მასსების გათვითცნობიერება, მათი ამძრებება, თრგანიზაციულად დარჩემვა, მათი ნივთიერი პირებების გაუმჯობესება. ერთი და ხალხი, მათი ეროვნული და სიცილური თავისუფლება. აი პროგრამა, რომელიც დადგო საძუძელად და სამოქმედო გეგმად ე.წ. მესამე დასს, და შემდგე სოციდემ. პარტიას; რაღაც აღიოდე წელი დარჩა საჭირო, რომ სადემ. პარტიის პროგრამულ პოლიტიკას, მის ტაქტიკას, ამ მოპყოლობა მთელ საქართველოში არგებისაც იყენი დაზრდება და მათი პოლიტიკური ბრძოლის გაჩალება. მთელი მაშინდელი ქართველი სახოგადოების უზრავდება მიკაცება ახალი დალგისას სახოგადოების მუშაობებს უჩინებება.

აი რას სწერდა გრ. ყიფშიძე «დროება» ში:

«ბევრს უგნა; საქართველოს კელია იტენის რა, მაგრამ ვინც მის ცხოვრებას აკვირდება, ის შეამჩნევს მის სიღრმეზე დიდ დუღილს, რომ ჩნდება ახალი ძალა დემოკრატიისა, იმა დება ახალი ხალხი ძლიერდოს და ამ ახალი ძალის შეთანხმისა ნ. კორდანია, რომელიც შემოიტრა ცხოვრების ასპექტზე, ვითარება მხსნელი გრიგალი და გაჩაღდა მძლავრი ხალხი მოძრაობა»-ლ.

ხალხის ერთგული და კეთილშობილი ადამიანი, როგორც
მას ახასიათებს ნ. ე—ნია, გ. წერეთელი მიმართავს: «ნოე, იცი
მე მარჯსისტი არა ვარ, მაგრამ უცედავ ხალხის გამოლევიძება
ამ გზით შეიძლება და მეც თქვენთან ვარ».

დიახ, ნ. ჟ—ნია მარქსისტული მოძღვრების შემომტანი
საქართველოში და მისი თეორეთიკოსი, მაგრამ როგორც
თეორონ აღიარებს თავის მოგონებაში, მან მარქსისტული
თეორია და მეთოდი შეუფარდა ქართულ სინამდვილეს, მი-
იღო მისგან ის რაც შეეფერებოდა აღილობრივ სოციალ-
ეკონომიკურ განვითარებას, ეს იგი მისივე სიტყვით. რომ
ეს სტევათ მოხდა მარქიზმის «ნაციონალიზაცია»... ეს გამოი-
ხატა კულტურულაწე უკეთ, გლობობის ინტერესების სოც. დემ. პარ-
ტიის მფარველობის ქვეშ დაყენებაში, რასაც უარყოფდა მა-
შინ როგორც დასაცლეთის, ისე რუსეთის სოციალ-დემოკრა-
ტიული პარტიები.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიიან ნ. კორდანიას მეთაურობით ამზადა ფართო მასსები იმ დღისთვის, როცა შესაძლებელი იქნებოდა სხვა ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებთან ერთად, — საქართველოს კვლავ დაგებრუნვებია სახელწიფო ეგზისტენციის უფლება, შედგომიდა ნაციონალურ შენობის აღმშენებლობას.

აი რას ამბობს თვით ნ. ე-ნია:

«ჩემი მიზანი იყო რეკომის დამკვიდრება მომზღვიულ კულტურულ წრის შერიცხვით, სოციალურ და ნაციონალურ თანამდებობით» (იხ. «ჩემი წარსული»).

ასე შეეძლო ეტკება მხოლოდ ერის მეთაურს და არა მარ. ტო პარტიის... ამან მოუპოვა მას საყოველთაო ნდობა და პატივის ცემა.

შისგან დასახული თანამშრომლობის გატარება — შესაძლებელი გახდა იმ რეფორმებით, რომლებმაც შექმნეს სოციალური და კუონომიური წინასწორობა და რაც გამოიხარება რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

საქართველოს დაცემის შემდეგ, უცხოეთში გადმოხილი პრეზიდენტი ეწეოდა შეუჩერებელ შრომას საქართველოს უფლების დასაცავთ განათლებულ კაცობრიობის წინაშე. მრავალი მისი წერილები უმთავრესად სოციალი ტურდა დემოკრატიულ პრესაში სათანადო გაზოხმაურებას პოლობდა. ამხელდა ჩევენ ქვეყნის მტრებს. ებრძოდა რუსეთის იმპერიალიზმს და მრავალი მაგალითებით ცდილობდა გაელიქებია გარეშე ერთა სინდისი, ჩაეხედებია ისინი ქართული საქმის სინამდვილეში.

ომის ხანაში მათ მიმართა ქართველ ერს, სადაც ნაჩვენებია გზები მისი ფიზიკურად გადარჩენის ფაზის.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების, უკანასკნელ დღემდე — იდგა ქედმოსუხრელი, ლირსეულად, მახვილი განებით, ცოცხალი აზრით, — მუდამ მზათ, საქართველოს ეროვნულ ინტერესების დასაცავად; იგი ასული დიდების მწვერფალზე — ამ კვეყნიდან განშორების შემდეგაც დარჩა სიმბოლო თავისუფლების, იმედის და მომავალი გამარჯვების.

ბ. სარგველაძე.

ଏକାଶରେ ପାଇଁ ଆମିରାମାନଙ୍କ ଦେଖିଲୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

... 1918 წ. 22 მაისს, ნოე უორდანია ბათომიდან თბილისში დაბრუნდა. ბათომში ის გაწვეული იყო სეიმის დელეგაციის მიერ საზაო მოლაპარაკების გართულების გამო. ბათომიდან დაბრუნდა იმ ჩრდენით, რომ შექმნილი მდგრმარეობა დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას აღარ ითხდება. საკითხის გადასაჭრელათ მოწვეული იქნა სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სასწრაფო სხდომაში რომელსაც მან გაუკეთა ვრცელი მოხსენება მდგრმარეობის შესახებ, საიდანაც ერთად-ერთ გამოსაფალს ხდდავდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებაში. კრებამ ერთხმად გაიზიარა ეს აზრი და მიიღო სათანადო დაცვენილება, რომელც მეორე დღეს ვე დაეგზავნა ყველა სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციებს, რაც მილებული იქნა მრეწველობა.

ამავე დროს მოწვეული იყო „ეროვნული საბორის“ აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იგივე ნოე ეორდანია იყო. მისი მოხსენება აქაც ერთხმად მიიღეს და დამოუკიდებლობის აქტის შესაბუმავებლად არჩეული იქნა საგანგმობრო კომისია.

წინადაღების შესახებ ილაპარაკა ყველა ერის და ყველა პარტიის წარმომადგენელმა, რაც დასრულდა სეიმის დაშლით 3 ს ათზე.

იმავე დღეს, იმავე სასახლის ზალაში. დღის 4 საათზე და 50 წუთზე, გაიხსნა «საქართველოს ეროვნული საბჭოს» სხდომა.

კრებას ხსნის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ერქანია, რომელსაც მთელი სხდომა ფეხშე ადგომით ესაბამება და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს. თავმჯდომარის ისტორიული სიტყვის შემდეგ წაკითხული იქნა «დამოუკიდებლობის აქტი», რომელიც მიღებული იყო ფეხშე ადგომით. «აქტი» მიღებული იქნა უცვლელად, რაზედაც ხელს აწერენ საბჭოს წევრები.

ამავე სხდომაზე წაკითხული იყო სია მთავრობის წევრების, შემუშავებული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შეთანხმებით ყველა პარტიის მთავრობის წინაშე.

5 საათზე და 55 წ. «ეროვნული საბჭოს» სხდომა დაიხურა. სხდომის დაწურვისთანავე «დამოუკიდებლობის აქტი» წაკითხული იქნა სასახლის აივნიდან უამრავი ხალხის წინაშე.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

დაიწყო წეიმი, რაც გაგრძელდა მთელ დამეს...

№.



სილ. ჯიბლაძის სიტყვა.

საქართველოს დაშფუძნებელი კრება გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს.

კრება გახსნა უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელმაც სხვათა შორის სთქვა:

«ჩემმა ხნოვანებამ წილად მარგუნა ამ ორმაგი დღესასწაულის გახსნა.

ბატონებო! ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ! კეთილი იყოს თქვენი ფეხის შემოფგმა ამ თეთრ დარბაზში, სადაც ვინ იცის რამდენი შავი საქმიერი გაკეთებულა. კურ ხეული იყოს საფუძველი ამ ახალი სახელმწიფო ბრივი შენობისა, რომლის ასაგებათ, თქვენ ბრძანდებით მოწოდებული. მეტად სერიოზულ მომენტში დაგაყისრათ თქვენ დროთა ბრუნვამ ეს თქვენი მძიმე მოვალეობა. ჩვენ ვხედავთ რა საშინელ რევოლუციურ მოვალეობას არე-მარეში ეს აწყვეტილი მოძრაობა. ინგრევა სახელმწიფო ბი. ისპობა, თუმცა დრო-მოკმული, მაგრამ ჯერ კიდევ ძლევამოსილი წოდები,—ნაფორივით იმსხვრევა ტახტები დევთის მიერ მირონცხებულთა.

რა დავკარგეთ ჩვენ და რა შევიძინეთ ამ საერთაშორისო ორომტრიიალში? პასუხი მოკლეა: დავკარგეთ ის, რის დაკარგვა და დამსხვრევა ყოველთვის შეადგენდა ჩვენი დემოკრა-

ტიის საოცნებო საგანს, წყველა-კრულვით გადაუშევით მე-
ფის თვითმპყრობელობა იმ უფსკრულში, რომლის პირამდე
მან წამებული მშრომელი ხალხი მიიყვანა. მაგრამ ეს არ კმა-
რა. თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ხალხის თვითმპყრო-
ბელობის გამაგრება—აი ჩვენი მეორე იდეალი. სრულუფლე-
ბიანი დამფუძნებელი ყრილობა...

ლოცვა-კურთხევით მოიგონებს მომავალი თაობა, მაღლიერი იმათი, ვინც გადაარჩინა პატარა ნავი მწარე ხვედრს და გამოიყანა სამშეიღლოში ამ დიდი განძით—დამფუძნდელი კრებით.

აწი ბატონები, თქვენ ხელო არის ბედი ამ ჩეკი ქარ-
ცუცხლში გამოტანილი ავლადიდებისა.

ერთხელ კიდევ გისურვებთ წარმატებას და თავისუფალ მუშაობას.

ଶର୍ମିଳାତ ମୁନ୍ଦାତମାନ.

კერავინ უარყოფს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მეთაურობით. მაგრამ ბევრმა არ იცის, მით უმეტეს ახალ თაობებმა თუ როგორ მივეღით ამ ბევრის დღემდი და რა ბრძოლები იქნა გადატანილი. ბევრმა მაშინდელი გადაწყვეტილება სოც.-დემ. პარტიისა—ამასნა კითარულა იძულებითი აქტი—გარეშე მოვლენათა გავლენით თავსე მოხვეული, ან კიდევ სოც.-დემ. პარტიის შიში რევოლუციის გასაღმავებლათ, ან კიდევ ხელისუფლების ხელში ჩაგდებით გატაცება და სხვ. ეს ზერელ ამასნა, რომ მართალი იყვეს 26 მაისს აღარ ექნებოდა ის დიდი ისტორიული აქტის ლირებულება, რომელიც მას ქართველ ერმა მიანიჭა. საჭიროა მოკლეთ თვალი გადავავლოთ ჩენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის გზებს, მის ტაქტიკას, რომ დავრწმუნდეთ იმ სწორ, შეუზრულ პრინციპის უზურ პ.ზ.ც ციის შესახებ, რომლიდან ღივექტიურად უნდა მივსულიყავით ერთ დღეს 26 მაისამდე.

1892—1893 წლებში—დაწერილ საპროგრამო მოხსენება.

ში ნ. ეროვნულ საკითხსაც სადაც ნათქვა-
მია: «.. 1) ამ სახით ჩენ მივადექით შემდეგ ფასკვნას, ნიშთიე-
რი კეთილდღეობა. როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრე-
ბის. 2) თავისუფლება მთვლი ერის და თითეული პიროვნე-
ბისა, როგორც ხელის შემწყობი პირობა უმთავრესი სურვი-
ლის მისალწევათ და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე
დასის მოქმედებისა»...

ამნაირად ს.-დემ. პარტიამ ააფრიალა დროშა, რომელზე-
დაც ეწერა. თავისუფლება ხალხის... უპირველესად საჭირო
იყო თვითმპყრობელობის მოშლა, მისი დამხობა, ამიტომაც
ქართველი სოც.-დემოკრატები იბრძოდნენ რუსეთის სოც.-
დემ. პარტიაში და ამავე დროში აყენებლნენ ერთა თვითგა-
მორკვევის უფლებას, კერძოთ ქართველ ერში ეწეოდნენ პო-
ლიტიკურ-კულტურულ მუშაობას—მისი გათვითცნა ბიურე-
ბისა და მომზადების მიზნით.

1903 წელს ლონდონში მოხდა რუსეთის სოც. დემ. პარ-
ტიის მეორე ყრილობა. დაესწრებ ქართველი სოც.-დემ. პარ-
ტიის წარმომადგენლები. იჩქეოდა ერთა უფლების საკითხი,
გადამჭრელი როლი ითამაშეს ქართველებმა, მათთან შეთან-
ხმებით მიღებულ იქნა:

«მიეცეს თვითგამორკვევის უფლება ყველა ერს, რომელ-
ნიცი შედიან სახელმწიფოში» (იგულისხმება რუსეთი). ე. ი.
თითეულ ერს ენიჭება უფლება თვით გამოარკვიოს, გადას-
წყვიტოს იყოს დამოუკიდებელი თუ დარჩეს სახელმწიფოს
საზღვრებში—ამა თუ იმ ფორმით. ქართველ სოც.-დემოკრა-
ტებმა რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიაში გააჩარეს მუშაობა
ეროვნული საკითხის გარშემო, საქართველოში კი მშრომე-
ლი მასხების ორგანიზაციული დარაზებებით და ეროვნული
სახეობის დაცვით, მზადებოდა ნიადაგი ეროვნული თავი-
სუფლების მოსახლოებლად.

1914 წლის ომის განმავლობაში საქართველო ს სოც.-დემ.
პარტიას კონფერენციები პქნონდა ბაჟურიანში. ქუთაისში,
გურიაში, თბილისში—ყველა შეხვედრების დრო—იმაზე თე-
ბოდა კამათი იმ პოლიტიკურ პირობებში, როდესაც შესა-
ძლებელი იქნებოდა რუსეთიდან გამოყოფა.

1917 წელს, იანვრის თვეში—გურიაში (სოფ. ჯონჯუასთი),
მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: «გამოცხადდეს საქარ-
თველის დამოუკიდებლობა, უცადოთ ხელსაყრელ პირო-
ბებს». რა...

ეს ხელსაყრელი პირობებიც დადგა. რუსეთის იმპერიის
დაშლით და რუსის ჯარის წასელით, ქართველ ხალხს აუცი-
ლებლად უნდა ესარგებლა. ეს ბუნებრივი იყო და ასეც მოი-
კცა. სხვანაირი მოქმედება მისი მხრივ იქნებოდა ერის პო-
ლიტიკურად და ეროვნულად მოუმწიფებლობის მომასწავე-
ბელი. ქართველ ერს მონობის ულელი თავის ხელით არას-

დროს დაუდგამს კისერზე, ხოლო როცა მას ძალით ადგამდნენ იგი ყოველთვის ცდილობდა მის გადაგდებას. ასეთია ქართველი ერის ისტორია და ამ შემთხვევაში იგი რუსეთის-თვის გამონაკლის არ დაუშევებდა.

განვლილმა ბრძოლებმა: თეორიულ, პრაქტიკულ, ორგანიზაციულ პოზიციებზე მტკიცედ დგომამ მოგვაპოებია 26 მაისი. დაკარგული თავისუფლების აღდგენაც—დამოკიდებულია ქართველობის შეურიგებლობაზე—მის შეურყყველსურვილზე—იყვეს თავის-თა, ის ბატონ-პატრონი.

ან-ბან ი.

უ ც ხ ო მ ლ ე ბ ი

საქართველოს დემოკ. ჩახატუბლიძის შესახებ. ■

26 მაისის ორმოცდათი წლისთავზე აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩინია გავიხსენოთ თუ რა დიდი მორალური ხასიათის დამარტინა აღმოუჩინა ევროპიდან მოწვეულმა სოციალისტურშია დელეგაციამ ჩვენს ქვეყანას. მით უმეტეს საჭიროა და აუცილებელიც იცოდნენ ჩვენმა ახალ მა თაობებმა, რომლებსაც უშანსპინძლდებიან მრავალ გამოგონებულ ჭორებით.

მათ უნდა იცოდენ რომ უდიდესი მოვლენა, პირველი თუ როგორ შეხვდა და დადგებითად დააფასა ევროპის მოწინავე პროგრესიულმა საზოგადოებამ ჩვენი ქვეყნის ეროვნული თავისუფლება და მეორე რა აღშოთება, გაკიცხა გამოიწვია ამავე საზოგადოებაში მოსკოვის თავდასხმა: მათ შისგან ჩვენი თავისუფლების მოტაცებამ.

სოციალისტურ დელეგაციაში შედიოდნენ დიდი სოციალისტები და სახელმწიფო მოღვაწენი.

მაგალითად, ინგლისიდან რამზეი მაკომინალდი, ტომას შოუ, ქალბატონი სნოუდენი. ბელგიიდან ვანდერველდე, პიუსმანი, დებრიუკერი. საფრანგეთიდან—რენადელი, მარკე, ინგელსი. გერმანიდან—კარლ კაულკი მეუღლით.

თითეული ათგანი საქართველოში ყოფნის დროს გაეცნო მის წარსულს და აწმყოს, მის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას. შექრიბეს მრავალი ცნობები, რომლებიც მათ გამოაქვეყნეს პრესაში დაბრუნებისას.

აალაპარაკეს მთელი დემოკრატიული და სოციალისტური პრესა საქართველოს იურიდიულ ცნობის სასარგებლოთ. მათ ვზა გაუკავეს საქართველოს პირველ დელეგაციას, რომელიც ევროპაში გამოეიდა.

ვინ იცნობდა საქართველოს? საუკუნის მანძილზე რუსეთის თვითმშემცირებელობამ წაშალა ისტორიიდან და გუბერნიებად იხსენიებოდა. წავიდა თაობები და ნორმალურია, რომ ევროპის სათავეში მყოფ თაობისთვის იგი უცნობი

იყო... აი ამ დროს ადგილობრივად ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გაცნობის შემდეგ—ეს დიდი სოციალისტები და სახელმწიფო მოღვაწენი გახდენ ქართული საქმის დიდი პროპაგანდისტები და ვალდებულად გაიხადეს დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის ყველა დარგები, სოციალ-კონომიური რეფორმები, გაეცნო ეკრანის საზოგადოებისთვის, გაემუშებიათ აგრეთვე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სხვ.

ურნალის სივიწროვე საშუალებას არ გვაძლევს ფართეთ განვიხილოთ ჩენი ქვეყნის სასარგებლოთ მათი გამოსვლა ეკრანის პრესაში. დავკმაყოფილდეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დამოწმებით.

რ. მაკოდნალდი—თავის წერილში აღნიშნავს: «ქართველ სოციალისტებმა შესძლეს—ის რაც ეკრანაში სახელმწიფოს სათავეში სოციალისტებმა ჟერ შესძლეს. სახელდობ: სრული პარმონია სოფელსა და ქალაქებ შორის. გაატარეს უმტკივნელოთ. უკანასკნელი მიწის საკითხი. უმიწაწყლო გლეხობას დაურიგეს მიწები. მათ გაატარეს სოციალური კახონ-მდებლობა,—შრომა დაეფარ საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას. მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით... მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდ მემამულეთა და საუფლისწულო მიწების... ამავე დროს თავისუფლება მი-უცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაცკი, ერის ყველა ნაწილს შეგხებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო—სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელ არით.

თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს ეროვნული თავისუფლება კეუთმინის ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიბას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცნი მის კონსტიტუციის, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, მე იქ რაც ენახე, კისურვებდი ასე აწყობილი მენახოს ცხოვრება ჩემს ქვეყანაში.

ჩენი მიზანი უნდა იყვენ კვლავ შეიქმნას ამიერ-კავკასიის თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირი მაგრამ ეს შეუძლევებელია თუ საქართველო არ იქნა მისი ცენტრი, არ იქნა იგი თავისუფალი.

მაკოდნალდი მოუწოდებს მოკავშირეებს დაუყონებლივ იცნან საქართველოს დამოუკიდებლობა»¹⁾.

პიერ ლენინგრადი—საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გამოჩენილი ლიდერთაგანი, დიდი პარლამენტარი და ტრიბუნი. ძნელია, ყველა იმ ამავის ჩამოთვლა, რაც მან დასდო ქართულ საქმეს. პარლამენტი, მიტინგზე, პრესაში იგი იყო ჩენი ქვეყნის არა ოფიციალური ელჩი, რომელიც თავისთვის დამთვარებით იცავდა საქართველოს საკითხს...

¹⁾ იხ. «რერ ნაციონ» 16 ოქტ. 1920 წ.

უკეთებს, რა ანალიზს—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის—წინა ხნის პოლიტიკურ მოვლენებს, ის ფართეთ იხილავს საქართველოში მომხდარ სოციალურ და ეკონომიკურ ხსიათის რეფორმებს: «უდიდესი შეცდომა—ამბობს რენოდელი—რუსეთის რევოლუციონერების ის იყო, რომ მათ გადადგეს აგრძარული რეფორმის გატარება დამფუძნდებოდების მოწევებამდე. გლეხობა მოუმშენებად მოედოდა რევოლუციონიზმის მიწას, ასე იყო ეს რუსეთში—ასეიცივ მდგომარეობა იყო კერძოთ საქართველოში. ქართველი სოციალისტები აღმოჩნდნენ უფრო რეალისტები, მათ მაშინვე აუდეს ალლო მდგომარეობას, და ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის დროს დაიწყო მიწის რეფორმისთვის მუშაობა. საქართვისი იყო ჩამომრთმევ კომისიების შექმნა, მიწების გაზრდის დაწყება და გლეხობის ნდობა წინასწარ დაიმსახურა ქართველ სოციალისტებმა, რომლებიც შემდეგ მოვქცენ დამოუკიდებელ საქართველოს სათავეში და დაწყებული რეფორმა დაამთავრეს... მემამულეთ დაუტოვეს—თავის საყოდი სარჩო, —ჩამორთმეული მიწები გადაეცა უმიწაწყლო გლეხობას. საუფლისტულო და დიდი მამულები—გადავიდა სახელმწიფოს ხელში და ამავე დროს ბუნებრივი სიმდიდრენი. მოხდა სრული აგრძარული რევოლუცია—სისხლის დაუდერელად, მშეგინობიანთ. ამაში ქართველი სოციალისტებმა გამოიჩინეს გონიერება, ჭკუა და შორსმშვირეტელობა. გლეხობა გახდა საიმედო ძალა ახლად დაარსებულ დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის...

იხილავს რა სოციალურ კანონმდებლობას რენოდელი ალნიშნავს—მუშათა ინტერესების დაცვა—კონსტიტუციით უზრუნველყოფილია; პროფესიონალური კავშირები დაკარნებულია. შრომის სამინისტრო მოწოდებულია დაცვას შრომა, შრომის კანონები... რენოდელი იხილავს ამავე დროს საქართველოს საქართველოს მდგომარეობას, მოიხსენებ საფრანგეთის მთავრობისგან მის იურიდიულ ცნობას...*)

გმილ ვანდერველდე. «პირველი სოციალისტური მთავრობა... ამ სათაურით ბრიუსელის სოციალისტურ კურნალ „პოპლ“-ში ვანდერველდე ათავსებს წერილს, სადაც სხვათა შორის ამბობს: «ომის წინა წლებში, რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შედგებოთა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი და-ასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ეინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქზე—თბილისზე? მაშინ, როდესაც სწორედ ამ ქალაქში აღიმართ დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა—უდიდესი

*) «ლო პროგრე დე ლიონ». 18 ნოემ., 21 ნოემ., 24 ნოემ., 28 ნოემ., 5 დეკ., 20 დეკ. 1920 წ.

საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ლვრით, არა მეტე ხალხის სუვერენიტეტი უფლების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრულ ი გამა- ვლინებით.

ჩვენმა მეგობრებმა, ქართველ სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ თავისუფლების ფარგლებში ჭრაში დემოკრატიული იდეები. აგრარული რეფორმულია, რადგან ყველა ყოფილ სა- მეფო გვარეულობის და დიდ მემულეთა მატულები ჩამორ- თმეულ იქნა უსასყიდლოთ—დარიგებული დარიბ გლეხობაზე.

1918 წლის სოციალური და აგრარული რეფორმული—რო- მელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური— არამეტ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მი- ერ... შეფარდებული რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან, ამაშია ქართველი სოციალ დემოკრატების უალ- რესი გონიერება და სიბრძნე...

მთავრობის კონსოლიდაცია პოლიტიკა იძლევა დიდ დაცე- ბით პერსპექტივებს ქართველი მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის კონსოლიდაციაში წარმატების. მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია თუ საქართველოს არ ექნა საერთა- შორისო სტატუტი, უფლება, თუ იგი არ იქნა ცნობილი ყვე- ლა სახელმწიფოების შიერ»^{*)}.

ვანდერველდე იყო ბელგიის სოციალისტური პარტიის უდაო ლიდერი. არა ერთჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარე, ევროპის პოლიტიკურ ასპარეზშე იგი იყო მნიშვნელოვანი პიროვნება. მისი დახმარება საქართველოს იურიდიულ ცნობისთვის—დიდია.

პარლ პატცი, ევროპაში დაბრუნებისას გამოსცა ცნო- ბილი წიგნი: «საქართველო, გლეხთა სოციალისტური რეს- პუბლიკა». ქართველი მკითხველი განცემით ეძლევა— როგორ შესძლო ავტორმა რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის პირობების ასე საფუძვლიანად და ასე დაჭვი- რვებით შეთვისება. ეს არის საუკეთესო ნაწერები რაც კი და- წერილა ევროპაში თანამედროვე საქართველოზე. მაგრამ მი- სი ლირსება მარტო საქართველოს საკითხით არ განისაზღ- რება. ჩვენმა პრობლემამ, საქართველოში სოციალისტური დემოკრატიის გაბატონებამ და მისმა პოლიტიკამ საშუალე- ბა მისცა კაუცის ნათლად გაერკვია საზოგადო და სპორ- ტოროტო საკითხი: ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალისტური ხელისუფლების შესაძლებლობისა და მისი დადგებითი როლისა...

კ. კაუცი იყო განუყრელი მეგობარი საქართველოსი, იგი არ ზოგადა არც ღრმას, არც ძალას, თავისი ავტორიტე- ტული ჩმა არ აემაღლებია ქართული საქმის დასაცავად...

^{*)} იხ. «ლო პოპლ». ბრიუსელი, 20 ოქტ. 1920 წ.

კ. კაუციკიშ ლრმა თეორიული და პრაქტიკული დასაბუ-
 თება მისცა დამოუკიდებელ საქართველოში გატარებულ-
 ეკონომისურ რეფორმებს. მისცა მათ სრული გამართლება,
 განდა მისი დამცველი ეკრაპის სოციალისტურ-პროგრესი-
 ულ საზოგადოების წინაშე...

ალბერტ ტომა, როგორც ქართველ მყითხველმა იცის ირ.
 წერეთელმა წარმოსთქა ამიერ-კავკასიის სეიმის დაწლის
 დღეს ლრმა მნიშვნელობის სიტყვა, სადაც იგი არყვევდა და-
 შლის მიხესხებს და მეზღრად იცავდა საქართველოს დამოუ-
 კიდებულობის გამოცხადებას. ეს სიტყვა ფრანგულ ენაშე გა-
 მოიცა ალბერტ ტომას წინასიტყვაობით. ალბერტ ტომა, რო-
 მელმაც ლირსეული როლი ითამაშა ეკრალის კონფერენცი-
 აზე საქართველოს უფლების დასაცავად თავის წინასიტყვა-
 ობაში უდიდესი პატივისცემით, ლირსეული სიტყვებით იხ-
 სენიებს კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს, იგორებს შე-
 ბერების რევოლუციის პირველ დღეებს ორი დიდი ქართვე-
 ლი სოციალისტის როლს, და საქართველოს დამოუკიდე-
 ბლობის დასაცავად მოპყავს მრავალი არგუმენტები, სხვათა
 შორის ამბობს:

„წერეთელი ურჩევს ქართველ ხალხს ნაციონალური სა-
 ხეობის შენარჩუნებას, დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყო-
 ბას, რომელიც სრულებით არ ეწინააღმდეგება დემოკრატი-
 ულ იქანს, პირიქით იგია საუკეთესო ბაზა ჩვენი საცოდ ა. ა.
 იდეალის, სოციალიზმის განსახორციელებლ ადვ...“

და მართლაც—განაგრძობს—თვით ალბერტ ტომა, რო-
 მელ ერსაც არ შეუძლია თავის ნაციონალური კითხვების და-
 ცვა და შენარჩუნება იგი არც სოციალიზმის ლირსია... რუსა-
 ბოლოოთ ინტერნაციონალური ჯავახიდან—პატარა ერები
 მიიღებნ თვედაცვის უზრუნველყოფას—ჯერჯერობით სა-
 ერთაშორისო არეულობის ხანაში, თოთეული ერი თვით უნ-
 და შეეცადს საკუთარი ნაციონალური, დამოუკიდებლო-
 ბის მოპყავას და შესძლოს მისი დაცვა...“

რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ერებს,—რომელებს; ც
 უარი ეუბნება ბოლშევკიკები დამოუკიდებლ ამაზე. ან დევლი
 რუსეთის საზოგადოების წარმომადგენელები, სთავაზობენ
 ავტონომიას—აი ამ ერებს სურთ სრული დამოუკიდებლ ა-
 ბა, —პირველ რიგში ქართველ ერს, რომლის გათვითცხო-
 ერება და დამოუკიდებლობის მინიჭება არის უმთავრესად
 საქმე საქართველოს სოციალდემოკრატიისა. ერი ტ. ტ. ტ. ტ
 არაეითარ სიძულვილს არ ატარებს სხვა ერის მიმართ...

არა მარტო ქართველი დემოკრატიის, არამედ მსოფლიო
 დემოკრატიის ინტერესი მრისხოვს—დაუბა ტეს და
 იქნას ახლად დაარსებული რესპუბლიკა”).

ქალბატონებმა სხოუდენმა და ლუისა კაუციკმ საქართ-

*) ირ. წერეთელის—ორი მოხსენება.

ველოდან დაბრუნების შემდეგ აღწერეს, მისი წარმატები ბუნება შესაფერი სიტყვებით. გააცნეს ევროპის საზოგადოებას ქართველი ხალხის კულტურა, სტუმართმოყვარეობა, ხელულებანი, ტრადიციები და სხვ.

თუ მაღალ პოლიტიკურ წრეებშიც საქართველოს სახელი დავიწყებული პქნდათ. მცირე დროს მანძილზე ის გახდა ცნობილი და თუ 22 სახელმწიფომ ის იცნო იურიდიულად, ამაში განსაკუთრებული წილი მიუძლეს სოციალისტურ დელეგაციას, მათი წევრების გავლენას მაღალ სახელმწიფოს სფეროებში.

დაეცა უსწორო ბრძოლაში საქართველო. სოციალისტურმა და დემოკრატიულმა პარტიებმა გამოსთქვეს თავიანთი ალმყოფება რეზოლუციებში, მიტინგებზე, კრებებზე.

ალიშტნეს ვერაგული თავდასხმა საქართველოზე. დასავლეთის საზოგადოებრივ აზრმა—ნამდვილი გასამართლება მოახდინა მოსკოვის. გამოუტანა სასტიკი განაჩენი, დაპერ მისი იმპერიალისტური მტაცებლური პოლიტიკა. ქართველებს სრული თანაგრძნობა გამოუტადა.

მათ ამხილეს სიცრუე, სიყალბე, მუხანათობა, რაც გამოჩნდა საბჭოთა რუსეთის მხრივ—ომში, პარტა საქართველოს წინააღმდეგ. კველანი ერთხმად აღიარებენ ქართველი ერის უდაო უფლებას დამოუკიდებლად არსებობაზე და მოითხოვენ გაყვანილ იქნას რუსის ჯარები საქართველოდან...

გავიხსენოთ აქ ზოგიერთი მათგანი:

მე-2 ინტერნაციონალის ეგზეკუტივი 19 მარტი 1921 წ.

ვენის სოციალისტური კონფერენცია 27 თებერ. 1921 წ.

ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესი. 22 ივნისი 1921 წ.

ბელგიის სოციალისტური პარტია—10 ივლისი 1921 წ.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მანიფესტი 1 ივნისი 1921 წ.

ამავე პარტიის საპროტესტო რეზოლუცია 30 მარტს 1921.

შვეციის სოციალისტური პარტია 3 მარტი 1921 წ.

დანიის სოციალისტური პარტია. სექტემბერი 1921 წ.

ისპანიის სოციალისტური პარტია. 7 მარტი 1921 წ.

ჩეხო-სლოვაკიის სოციალისტური პარტია. 25 თებ. 1921.

იტალია, ავსტრია, პოლონეთი, ხორვატია, სლავონია, ლატვია, შვეიცარია.

—

მრავალი წერილები მოთავსდა პრესაში: კარლ კაუპი, რენდელი, დემოკრატი, პოლ ბონკური, ვანდერველდე, მარკე, ბრანტინგი და სხვები. გამოქანილი პუბლიცისტები, უზრნალისტები, დეპუტატები უკეთა შვეიცარიელი—გმობენ, კიცხავენ მოსკოვის საქციელს...")

*) კრებული: «სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო».



ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის თავმჯდომარე ფ. სოუ ჩეხი სწერს:

«ჩეხო-სლოვაკიის ერმაც განვლო თავის ისტორიის მანძილზე საშინელი ტრალეფია. სამასი წლის წინათ ჩეენ ამოგვ-შალეს ევროპის ისტორიიდან. პაბებურგის დინასტიამ დაგვადო ჩეენ საფლავის ლოდი, წაგვართვა ჩეენი მიწა-წყალი, განდევნა ასი ათასი ჩეენი საუკეთესო შეილები უცხოეთში, დასწევა ჩეენი ლიტერატურა, ფეხვე შე გათელა ჩეენი ერი და მე-18 საუკუნის დასასრულში უმაღლეს ტანჯვაში მყოფი ჩეენი ერი გაკრულ იქნა გოლგოთაზე. ავსტრია-უნგრეთმა დაატრიალა ტერორი და ტანჯვა-წამება.

მაგრამ დაბოლოს ჩეენ მაინც გავიმარჯვეთ. დღეს საქართველოც უსაშედებოთ ტანჯულია. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ქართველო მეგობრებო, რომ თქვენ ბრწყინვალე წარსული გაქვთ. დღეს არა ხართ მარტო, როგორც არ ვიყავოთ მარტო ჩეენ.

ქედს ნუ მოიხსინოთ მტრის წინაშე, გააგრძელეთ მტრილა და საქართველო ალსგება ისევ ისე, როგორც ავდექით ჩეენ ჩეხო-სლოვაკელები»...*)

გაიკვით და განათლებული კაცობრიობის მოთხოვნილება დამოუკიდებელი საქართველოს ალდენისთვის გამოილებს ნაყოფს. მიმდინარე ეპიძიის ქარტების ვერ გადაუჩება ერთად-ერთი დარჩენილ კოლენიალ ური იმპერია და მის ნანგრევებზე დამყარდება თავისუფალ ერთა და ხალხთა ნამდვილი კავშირი...

ი მ ღ ღ ი ღ ა რ ჭ ვ ი ნ .

(26 მაისი—50 წლისთავშე)

იმედი სიცოცხლის მშვენიერი ძალაა, გულის უხილავ სილრეში ჩამალული, გრძნობისა და გონების შემაერთებელი, მათი მოძრაობაში მომყვანი. უიმედო მებრძელი, წინა სწარ დამარცხებულია, ჯარი იმედგაცრუებული—მისი ძრძოლა წინასწარ წაგებულია. იმედს კი ასახოვებს რწმენა სიმართლისათვის, კეთილი საქმისთვის თავდასადებად, უსამართლების დასათრგუნვად. იმედი და რწმენა ქართველი ხალხის გულში შედუღებული—მეტამედამს მიუძღვის მას გაშლილი დროშით, წარსულის ბრწყინვალე მაგალითებით და გამოცდილებით,—მომავალში თავისუდღების ჯლხად გენათ. მან კარგად იცის, რომ თუ ეს ადამიანური ხაგანძური დაპკარგა—იგი დაეშვება. სულიერად დაბერავდება, დაქნიდება, სამუდამოთ სხვის საწველ ფურაზ გახდება, მუდამ მრეობის ულელში დარჩება, ამიტომაც იგი იმედს ელოლიავება, უფრთხილდება.

*) იხ. «ბრძოლის ხმა» № 16. 1931 წ.

ტყვილა კიარ მღერის:

«უკვდავებისა წყაროვა,—

ნაყდენ იქროს მიღითა,

შენთამაც ყოფნით გამაძლო,

შენთამაც წოლა დილითა...»

ეამსა განსაცდელისა, ერის მძიმე სატკივართა ფონზე, ყოფილა, არის და იქნება თითეული გულგატებილი, ხელჩაქნეული, სულწასული, მოუთმენელი, ქედობრილი, —გაბატონებულის წინაშე მუცლით შხოხავი კალმოსანიც. წარჩინებულიც, დიდიც და პატარაც. მაგრამ ამავე დროს ხალხის გულის სილრმიდან სიტყვა-კაზმულად იმედისა და რწმენის ნაპერწკლები, ვითარცა ცეცხლის ალი მოსდებია, გაფანტულა და კვლავ წყურებილი და სურველი თავისუფლების მოპლებისა განზრდილა და აზეირტებულა:

«შენ ჩემო დიდო იმედო,

კოშკო ნაგებო კირითა,

კახეთს მოჭრილო ისარო,

ქალაქს ნალებო ინითა».

თითეული ქართველის ფიქრები იმედით იარაღდება, მისით სულგმულობს, მოქმედებას აძლევს უსაზღვრო გაქანებას. მისთვის დაბრკოლება არ არსებობს, ბრძოლა აჲი ჩაბმული მიისწოავეს თავისუფლებას დაწავოს. დაწულოს, გადაიძროს ჩაგრის ულელი. განა ამ იმედის და რწმენის დროშით არ დასძლია მან ყოველგვარი დაჩაგვრა, აიტანა ტანჯვა-წვალება და საუკუნეთა მანძილზე გამოიარა საზინელ იჯარცეცხლი, გადაარჩინა თავისი ვინაობა?.. განა ტანჯვა-წამებას კიდევ უფრო არგაუკავებია—მისწრაფება. საშუალებათა ძებნა უცხო მონაბისებან თავის დასალწევად?..

სანამდის მეცნიერთა და მყველევართა კალამი შეეხებოდა შოთას ბრძნულ სიტყვებს: «ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა...» ხალხმა იგი შეითვისა, შეიფერა, ხაწედა მისი მნიშვნელობის სილრმეში. ავტოიალა დროშა იმედის და ყოველ მშუბრის დღეებში მას იმეორებს განუწყვეტლივ, შეუჩერებლად

დიახ. ხალხი ცხოვრობს იმედით, იმედია, რომ აზრს სჭედს, გონებას ამაგრებს, ფიქრებს რომ წარმოშობს. მოძრაობის ფრთხებს შლის. ტყვილა კი არ უთქვამს ჩვენს დიდს პოეტს:

«იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ, რომ ფიქრი ყოვლის შენკენ პრბის, რომ ჩვენი სოფლად სიცოცხლე უშენოდ არა ნათლდების?»

იმედს ხალხი ადარებს კირით ნაგებ კოშეს. მრისხანე ქარიშხალი. რომ ვერ არყევს, მტრისებან ნასროლი ტყვია ამაოდ, რომ ასკლეპება და ამაყად სფგას თავის აღგილზე. იმედს იგი ადარებს წმინდა ვარსკვლავის ცას და დილით მზის სხივებს: «ცა წმინდა ვარსკვლავიანო.

მზე დაფუნილო დილითა».

აქედან ცხადია იმედი ხალხისთვის უდიდესი საგანძურია, მისი ერთგული თანამგზავრია, მის ყოველდღიურ ქმედობას, დინამიურობას და გამძლეობას აძლევს. უმისოდ მისი ცხოვრება ფრთაშეკვეცილი და განწირულია. მისთვის იმედი უკუდავების წყაროა...

ამა თუ იმ ეპოქის ეროვნულ ჩაგრძის დროს ხალხი ქმნის ლეგენდებს, თქმულებებს, ანგელოტებს, სარკასტულ სიმღერებს—ადიდებს წარსულს—ბრწყინვალებას, ამხელს და ამ ელავნებს ხალხის მწარე სულისკვეთებას—იმედით და რწმენით მოსავს მომავალს...

განა დლესაც ზალის გულის სილრმეში არ ათია ცეც. ლი იმედის?—არა, მას არ დაუკარგავს რწმენა და არც არა-დორს დაკარგავს, რომ ერთთლეს მისთვის გამოანათებს მწერ და 26 მაისის გამთბარი სხივები—დაეფრქვევა საქართველოს მინდოლ-ველებს...

ପ୍ରକାଶକ.

თავისუფლების შიგნით.

ჩქეო-სლოვაკიაში მომზღვარი პოლიტიკური მოცულენები და მისდამი ე.წ. «სატელიტების» საზოგადოებრივი მოძრაობის დადგით გამოძახილი, ისე როგორც ეკრანის დემოკრატიული პრესის თანაგრძნობა აფიქრებს და აშინებს მოსკოვს.

ნახევარი საუკუნის მანძილზე დიქტატურა გამოდიოდა
და დღესაც გამოდის თითეულ ერთა ნაციონალურ ინტერე-
სების, უფლებების დამცველად. მაგრამ ეს შორს, აზია-აფრიკი-
კის ქვეყნებში, რათა იქ თავისი პოლიტიკური გავლენა გაამე-
ფოს. ხოლო როცა მის ბანაკში მოქცეული ერთ—მოისურ-
ებს საკუთარი გზით სიარულს, ის ცილინდს მას წინ აღ-
დებს.

କା ଗାନ୍ଧୀରୁକ୍ତିରେ?

გამოიჩეკა, რომ ჩეხელ-სლოვაკიის ერს ალარ სურს მთს კონცის კარნაბის ქვეშ გააგრძელოს თავისი სახელმწიფო ბრიფი ცხოვრება. თვით კომუნისტური პარტიის რიგებიდან აღმართა დროშა, რომელზედაც აწერია სიტყვის, კრების, აზრის თავისუფლება. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა მთელმა ხალხმა, უბრძოლველად, უიარალოთ, საზოგადოებრივი აზრის ამინდრავებით და დაწოლით, მისი მოთხოვნით—ჩამოაბრძანეს ტანტიდან მოსკოვის ერთგული პრეზიდენტი ნოვორინი. აღმოჩნდა, რომ ჩეხელ სლოვაკიის ერში იყო შენახული მძღვანელი დემოკრატიული ტრადიცია, მას ხომ ოცი წლის მანძილზე მართავდა ხალხისგან არჩეული პარლამენტი და მთავრობა. სუბიექტიურ მისწრაფებას, თან დაერთო მბიჯეტიურად მართველობის სისტემიდან შექმნილი მდგრადერება. სახელმდინარეთული ეკონომიკური კრიზისები. მოს

კოვგა თავს მოახვია ევროპიელ, ინდუსტრიალ ურ დაწინაურებულ ქვეყანას თავისი ეკონომიური პოლიტიკა.—შევფერებელი ადგილობრივ პირობებთან, რამაც ვერ დააშეარა ხალხის კეთილდღეობა.

გამოაშეკარევდა მისი სიკოლო. ეს კიდევ უფრო აშეკარა გახდა, როცა მოსკოვი თვით გახდა იბულებული გაღმოველო კაპიტალისტურ სისტემიდან ზოგიერთი ეკონომიკური საწყი- სები. ჩეხო-სლოვაკიამ შეიმუშავა ახალი ეკონომიკური ტ- ფორმა უფრო დემოკრატიული და ლიბერალურ საფუძველ ზე. რომლის გატარებას ხელს უშლიდა მოსკოვის ერთგული ნო- ვოტნი. ახალი სამოქმედო გეგმა ჩეხს სლოვაკიის კომპარტი- ისგან რადიკალურად დაპირისპირებულია. წინააღმდეგობა- შია საბჭოთა დიქტატურის პრატიკასა და იდეოლოგიასთან. თუ სრული დემოკრატიული წესები ერთობლივ არაა აღია- რებული. მაგალითად ოპოზიციონური პარტიის არსებობა, როცა წერის და აზრის თავისუფლება მოცემულია. შეუძლე- ბელია დაწყებული ევლიუცია თავის ლოლიკურ დასკრინა- დე არ მიეკიდეს და სრული დემოკრატიზაცია არ დამკარდის...

რაში გამოიხატა ჯერჯერობით მოსკოვის შიში და ნერ-ვიულობა?

დრენაჟის კონფერენცია, შემდეგ ცეკას პლენუმი, პრე-
სა გამოყენებული იქნა ერთგარი გაფრთხილების გამოტვით,
ცნობილ ფრასენლოგით, გერმანიის რევანშიმის დაშილი-
ტარიზმის საფუთხის აღნიშვნით...

ჩეხო სლოვაკიის ახალ ხელმძღვანელობაში უპასუხა, რომ
მისთვის არ არსებობს ასეთი საშიშროება, ბოლის მთავრობა-
სთან სავაჭრო ხელშეკრულებას კარგი პირი უჩანს და დიპლო-
მატიური ურთიერთობაც ნორმალურად მიმდინარეობს. მოსკოვს მეუძღვია მიმართოს ეკონომიურ რეპრესიებს. მაგ-
რამ ამით იგი ჩეხო სლოვაკიას გადაისცრის დასავლეთისკენ,
რაც მის ანგარიშში არ უნდა შეფინადეს. ეს სტრიქონები რომ
იწერება მოსკოვი იწვევეს სათათბირო თავის ერთგულთ მო-
სკოვში, გარდა რუმინიისა და ჩეხო სლოვაკიისა. მოსკოვს
სურს თავი დაიზღავს. რათა სხვებს არ გადაედგას ჩეხო სლო-
ვაკიის მაგალითი...

— საბოლოო ანგარიშში იგი უდიდეს გამოძახილს იპოვის — თევით საბჭოთა ოსესტში დაწყებულ პოლიტიკურ-სოციალურ ძერაბზე, მათზე მოახდენს გავლენას და დააჩქარებს დი-ტრაქურის რეექიმის გადაგვარებას.

S. S. - 32.

የጊዜ የጥበብ ጥናት

ჩევნი მყიოთხველისთვის უსათუოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს ჩეხო-სლოვაკიაში მომხდარი პოლიტიკური მოვლენები.

ჩევნ აქ მოგვყავს ზოგიერთი საინფორმაციო ხასიათის ცნობები, რომლებიც ნათელს ფენენ პრალაში დაწყებულ რეკიმის ევოლუციას.

იმავე ორგანოში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ახალი დრივანი აცხადებს: «ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის აქტები სრული უფლება—იაროს თავის საკუთარი სოციალისტური გზით, ის არ დაუშვებს თავის შინაურ საქმეებში სხვების ჩარევას, საიდანაც არ შენდა მოლიოდეს იგი»¹.

ეს სიტყვები აშკარად მეტყველებენ იმ დამოუკიდებელ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც გაბეჭულად აიღეს ჩეხო-სლოვაკიის აპალ მართველებმა.

მეორე — ახალი თაობა, რომელსაც სურს გაარღვის ს ზღუდები, მოიპოვოს თავისუფლება, იაზროვნოს თავისუფლად. იგი ფიქრობს საკუთარ კეთილდღეობაზე, მომავალზე, არსებულ სისტემაზე კერძოდ დამყარა კეთილდღეობა, ახალმა თაობამ დაკარგა არსებულზე იმედი. უმთავრესია მაინც საბჭოთა კონფიდენციალური სისტემა, რომლისგან ჩეხო-სლოვაკია აღარ მოელის სხნას, მას აქვთ თავისი გეგმა, თავისი საკუთარი ეკონომიკური პლანიტრიკა».

«უურნალ დე უენეგ» ითვალისწინებს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც შეიძლება წინ აღუდნენ ჩეხო-სლოვაკიაში დაწყებულ ევოლუციას, ეს იქნება მხოლოდ გარედან: «საბჭოთა ხელმძღვანელებს არ ძალუდ შეაჩერონ ეს შინაგანი ევროუცია—ჩეხო-სლოვაკიაში თუ ღუმჩევემა მისცა ერთგვარად პირობა მოსკოვს, რომ იგი თარჩება მოსკოვთან საერთო კაშშირში, ეს სიტროტბილე ადვილი გახაგებია, არსებითად გერმანიის საფრთხობელად მოსკოვის ხელში დაპარგა თავის მნიშვნელობა. პრალა შეეცდება ალადგინოს კაშშირი ბონთან. თუ რუმინეთი განშორდა მოსკოვს ნაციონალურ ხაზზე, ადრე თუ გვიან იგიც გაცყვება ჩეხო-სლოვაკიის და გადავა მართველობის დემოკრატიულ წარსებრება...».

ალსანიშვნაერა—ახალი მთავრობის საგარეო სქემეთა მინისტრის განცხადება, რომ «ჩეხო-სლოვაკია სრულ იადაღაულის გერმანიას რევანშიზმის და მილიტარიზმის განსახიერებათ... ფედერატიულ გერმანიასთან საგაჭრო მისიების გაცემამ დიდი შედეგები გამოიიდნა».

უკანასკნელ ხანებში უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც სტუმრად იყო პარიზში განაცხადა, რომ ის «სავსებით იწონებს ჩეხო-სლოვაკიაში მომხდარ ცვლილებებს».

კნობილი კურნალისტი კლოდ პარმელი («ესტ-უესტ»-ში) არკვევს ჩეხო-სლოვაკიაში დაწყებულ პოლიტიკურ ცვალიბათობას, და მის შანსის ასკაზნის:

«ჩემთვის სლოვაკია, როგორც პოლონეთი არ იმყოფება ორ კომუნისტურ სახელმწიფოს შორის—გერმანიის საშიშოების შანტაჟის მსხვერპლი—ამხრივ იგი არ საჭიროებს საბუოთა რუსეთის დახმარებას. ამას გარდა ჩინეთ-მოსკოვის კონფლიქტის გამო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთლიანობა დარღვეულია, დისკიპლინა ლრმადა შერევული; კომუნისტური პარტიები უფრო თავისეუდლები არიან—თავიანთ მოქმედებაში. ე.წ. სატელიტებს ერთგვარი ავტონომია აქეთ მინიჭებული საერთაშორისო პოლიტიკურ ასპა-

რეზწენ, ამის მაგალითთა — რუშინია, მსგავსად საბჭოთა რუსეთისა, ჩეხო-სლოვაკიამ გამოიშუმავა თავისი საკუთარი ეკონომიკური რეფორმები, რომლის ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლიდა გადაყენებული პრეზიდენტი ნოვოტნი. ახალ რეფორმებს შეუძლია დიდი ცვლილებები მოახდინოს სოციალურ ცხოვრებაში, მისი გატარებით დიდი უფლება ეძლევა სამეურნეო ორგანიზაციებს. — გამოიჩინონ ინიციატივა, მიიღონ გადაწყვეტილებანი საბაზრო საწყისებთან შეფარდებით. შედარებით თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკა ხელს შეუწყობს. — პოლიტიკურ თავისუფლების დამყარებას. მაშასადამე ახალ მართველობას აქვს ბევრი შანსები გააგრძელოს დაწყებული მუშაობა. პირველ ხანებში დაბრკოლებები მრავალი იქნება. — ხოლო საბოლოო ანგარიშში მაინც თავისუფლება გაიმარჯვებს».

ფრანგული პრეზა «ლო მონდ», «ორორ», «კომბა» თავიანთ მიმოხილვაში მკაფიოდ აღნიშნავენ აღმოსავლეთ ექორპაში მომხდარ მოძრაობის დიდ მნიშვნელობას და იმ შედეგებს, რომლებიც შეიძლება მას მოჰყვეს, უმთავრესად იმ გავლენას, რომელიც მას შეუძლია დაურჩეს მთლიანად საბჭოთა პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობაზე.

გან—უან.

გეგმის ზერილიდან.

... ხდება ის რაც უნდა მომხდარიყო. საბჭოთა პოლიკურმა მართველობამ ნახევარი საუკუნის მანძილზე იმორჩია ტერორით, უდანაშაულოთა ხოჭა-ულეტით, სტალინი ცეკველითა და მახვილით იკაფავდა გზას — უშცირესობისგან ხელში ჩაგდებული ძალაუფლების შესანარჩუნებლად. წამება და ტანჯვა სალდებოდა ე. წ. «სოციალიზმის» გამარჯვებისთვის. ბეჭნიერი ცხოვრების დამყარებისთვის. დაქირავებული კალმოსნებიც აყრუებდნენ მთელ ქვეყნიერებას ხალხთა აღფრთოვანებით და კმაყოფილებით.... ეს მდგომარეობა დღესაც გრძელდება, იმ განსხვავებით, რომ თუ წინათ ხმა პროტესტისა არსაიდან ისმოდა, ინკვიზიციურ, მრისხაც პირობების ქვეშ უდანაშაულო მისთვის გამოგონილ ბრალ დებებშე ხელს აწერდა, დღეს მდგომარეობა შეიცვალა და ხალხის გულში ჩამარხულმა თავისუფლების სურვილ მა ამოხეტა. გადაბარგდა თუ არა ამ ქვეყნიდან ტირანი, პრ.ლ იღიკური არტახები ცოტათი მაინც მოეშვა, თავისუფალი შემოქმედების ნაპერწკალი აქა-იქ ამოვარდა წარსულისა და აწმყოს სოციალური და პიროვნული ჩაგვრის ნიმუშები გამოამზეურა. არც ნივთიერი დაკმაყოფილების დაპირებამ ჩააჩუბა ამხედრებული კალამი, რომელმაც ყველას გასაგონად გადასძხა: «არა ერთი პურითა»... ამას მოჰყვა არა ერთი მხილება გაბერის გარება მართველი გადასძხა: «არა ერთი პურითა»...

დუღი, თავიშეული, ამოძრავდნენ დუდინცოვები, სოლჩენი-
 ცეში და სხვები, დაპგმეს, გაპკიცხეს არა მარტო წარსული,
 —სტალინის სისტემა, არამედ მისგან დარჩენლი მეთო-
 დები სასამართლოში, ადამიანის ტრადიციაში; მწერლო-
 ბაში.

მწერალ სოლჩენიცინის საბრალდებულო—საპროტესტო
 ფურცელს შეუერთდა 82 მწერალი. მათ მოითხოვეს ცენტუ-
 რის მოხსნა, სიტყვისა და წერის თავისუფლება, ხოლო უმთა-
 ვრესია კომუნისტური იდეოლოგიის ქვეშ აღზრდილმა ახალ-
 გაზღვამა ნამდვილი ჯანყი მოაწყვეს დიქტატურის წინააღმ-
 დეგ. მათ მოძებურდათ ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთი და
 იგივე განუხორციელებული დაპირებების და ათასჯერ გადა-
 ცეჭილი ლოზუნების შოსმენა. ისინი გამოვიდნენ სააშვარა-
 ოზე, აღმართეს თავისუფლების ღრმუშა. ვრცელდება არალე-
 გალური ფურცელები, სადაც კრიტიკის ქარცეცხლშია გატა-
 რებული პოლიტიკური მართველობის მეთოდები და საერ-
 თოდ საბჭოთა წყობილების სისტემა. ჩვენ მოწამენი ვართ
 მოსკოვში, პეტროგრადში თუ უკრაინაში ათეული გასამარ-
 თლების, რომლებიც მონდა დახურულ კარებში. ისე რო-
 გორც წინათ—ბრალდებულთა გასამართლება ხდება წინას-
 წარ დანიშნული მოსამართლებისგან, რომლებსაც განაჩენი—
 ჯიბეში აქვთ—ზევიდან მიღებული. მიუხედავათ ყველა რე-
 პრესიული ზომებისა, კარებთან ქუჩდება ხალხი და თავის
 აღმოფთხებას გამოსთვევას—რაც ხშირად გადადის აშკარა
 საპროტესტო მანიფესტაციაში.

ახალგაზდა ბრალდებულთ სასამართლოში თავი უჭი-
 რავთ ღირსეულათ. თავს იცავე გმირულად, არცერთ პოლი-
 ტიკურ ხასიათის ბრალდებაზე უარს არ ამბობენ, პირიქით,
 თავს ესხმიან გამეფებულ წესებს. საკარისია ერთი მაგალი-
 თის მოყვანა: «არა თუ უარს ვამბობ იმაზე რაც გავაკე-
 თე, როცა აქედან გავალ გარეთ ისევ გავაგრძელებ ბრძო-
 ლას». ო.

შეუძლებელი არაა, რომ ყველა მისჯილი მომავალ ბრ-
 ძოლისთვის გამოუსადეგარი გახდნენ, მაგრამ მათი გაბეჭუ-
 ლი გამოსვლები გარეთ სხვებს წაახალისებს, ახალ-ახალ ძა-
 ლებს ახალ ბრძოლებისთვის დარაშვას...

საბჭოთა პრესამ გაახშირა სასამართლოს დემოკრატიუ-
 ლი წესების შესახებ ლაპარაკი, გასაგებია რატომ, მოსკოვს
 დღეს აღარ შეუძლია ოდნავ მაინც ყური არ ათხოვოს განათ-
 ლებულ კაცობრიობის თავისუფალ ხშას. ახალგაზდა პოეტე-
 ბის გასამართლების და მათთვის სასჯელის გამო საბჭოთა
 მთავრობამ დასავლეთიდან მიიღო საპროტესტო წერილი
 მრავალ ათეულ გამოჩენილ მწერლიდან და მეცნიერიდან,
 რომელსაც იგი უმაღავს საბჭოთა მოქალაქეთ, მაგრამ აღარ
 ჩერება გაუმნელი, რაც მორალურად ამაგრებს პროტესტან-
 ტებს.

არც საბჭოთა მოწინავე საზოგადოება ჩამორჩა დასავალეთს. მიუხედავად მოსალოდნელი რეპრესიებისა—საპროტესტო პეტიციაზე ხელს აწერს: ისტორიკოსი, მეცნიერი, ხელოვნების გამოჩენილი მუშაფი, მწერალი, პოეტი; მოითხოვენ სასამართლოს ლია კარებში, განაჩენის გადაშინჯვას. განხშირდა არალეგალური ფურცლები, სადაც ითხოვენ დემოკრატიული წესების შემოლებას...

რეპრესიებმა, პოლიციურ ზომებმა მხოლოდ გაამწვავეს დამოკიდებულება.

ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს დააშინოს ოპოზიცია, რადგან მას არც სურვილი აქვს და არც ხერხემალი გაატაროს რაზიკალური რეფორმები. ამიტომ ხელიდან რომ არ გაუშვას მართველობის სადაც, —მიმართავს სტალინის გათეორებას, მის წამოყენებას. ამხრივ ფრიად დამატიქტრებული ნიშნებია თვალშინი.

საბჭოთა პრესიდან გაპერა ლაპარაკი სტალინის დანაშაულზე. ისტორიულ ნარკვევებში, შრომებში, სასწავლო-სახელმძღვანელო წიგნებში ალარ იხსენიება—ხრუშჩინის მეორ მითოლებული სტალინის ნამოქმედარი. პირიქით, ალიარებულია მისი დადებითი როლი პარტიაში და საერთო მართველობაში.

კიდევ მეტი, 1967 წელს გამოვიდა კომპარტიის ისტორიის მესამე ტომი, სადაც შეცდლილია მისი როლის შეფასება 1959 წელთან შედარებით. გამოიცა პოლიტიკური განათლების წიგნი, შიგ აცტკიცებენ, —არავითარ პიროვნების კულტი არ ყოფილა. ასეთი კულტი შეიქნა მხოლოდ მის გარშემო. ზოგიერთი კანონების დარღვევა გამოწვეული კოფილა—გარშემორტყმული მტრებისგან შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. გაპერა უშმიმესი ბრალდება, რასაც სტალინის უყვნებდნენ, სახელობა, ომისგან თავდაცვის მოუმზადებლობა, პირლერის მეტი ნდობა, კინემ საკუთარი დიპლომატების და სხვ.

1967 წელს პროფ. ნიკიჩი გამორიცხული იქნა პარტიიდან, მარტო იმისთვის, რომ მან გაიხსნა სტალინის მიმართ, რასაც მასზე სწერდნენ 1941 წლის შეცდომების შესახებ და ეჭვი შეიტანა სტალინის გენიალობაში...

საბჭოთა დღევანდელი ხელისუფლება,—სტალინის პიროვნების დაცვით—ამზადებს ნიადაგს მისი მეთოდების დასაბრუნებლად, რათა შემუსროს დაწყებული მოძრაობა. უკვე წამოყვეს თავი აქა-იქ მიმალულმა სტალინის ყოფილმა პოლიციის დიდმა «ჩეკისტებმა».

გასამართლება ჩატარდა გამოცდილი ხელით. საკმარისია მოვიყანოთ, თუ როგორ დაიბარეს, ახალგაზდა პოეტების მშობლები და განუცხადეს, თუ ისინი არ შესწყვეტენ შეი-

ლების დაცვას და პროტესტებს,—პასუხისებაში იქნებიან შეიცემულნი...

სტალინის დაგმობამ თავის დროზე,—ლენინის კულტი გაამეფა და დღესაც ყოველ ფეხის გადადგმაზე მისი კერპი თვალში ეჩხირება მოქალაქეს. იგი იყო ფუძემდებელი წევრო «ჩეკისტური» მეთოდების, სტალინმა გამახვილა, გააღრმავა, გააძლიერა უდანაშაულოთა სისხლით.

დღეს ამ უკანასკნელის აჩრდილი, რომლის გაცოცელებას ფიქრობენ—აღარ აშინებს თავისუფლების მოწყურვა-ლე ახალგაზდობას და საერთოდ მოაწროვნე საზოგადოებას...

რასაკვირველია კბილებამდე შეიირალებული დიქტატურა ადვილათ შესძლებს ჩააჩიმოს ოპოზიციონური გმოსვ-ლები, მაგრამ იგი ვერ ჩაპერავს ხალხის სურვილსა და სულისკვეთებას. ჩშირად რეპრესიული ზომები—მოუბრუნდება ვინც მას ხმარობს. მართალია, ჯერჯერობით წამოყენებულია მოთხოვნილება: განხორციელდეს საბჭოთა კონსტიტუციაში მოხსენებული მოქალაქის უფლებები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კონსტიტუცია იქლევა სიტყვის, კრების, პრესის თავისუფლებას. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამაზე დიქტატურა ვერ ათანაბრდება, რადგან ეს იქნებოდა მისი დანგრევა. ასე, რომ მოძრაობა გაერჩეულდება, რომელიც შეიძლება დავსახოთ ჯერჯერობით როგორც რევოლუციონური ატმოსფერის შექმნა, ხოლო როცა მომწიფებება ნიადაგი, საქმარისია მცირე ბიძგი, რომ დიდი ქარიშხალი ამოვარდეს და გადალეჭოს ხალხთა სულშემცუთავი რევიმი...

ქ. ბეირუთი.

თქვენი მღამრონ ლუქავა.

ძართვილობა უცხოვთში.

უნივერსიტეტის დღე.

ამაწლის 14 იანვარს «მუშა სოციალის» დარბაზში გაიმართა საჯარო სხდომა თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის-თავის ალსანიშნავად. იგი მოწყობილი იყო—ქართველ და ლოკვილთა სათვისტომოს გამგეობის, წევრალთა და უკრნალისტთა კავშირის და ქართველ მეცნიერთა მიერ შედგენილ საპატიო მომწვევ კომიტეტისგან.

სათვისტომოს თავმჯდომარის ბ-ნ ლ. ზურაბიშვილის მოკლე სიტყვის შემდეგ, სიტყვა ეძლევა კრების საპატიო თავმჯდომარეს კ. განათლების მინისტრს ბ ნოე ცინცაძეს, რომელიც მოწამე და მონაწილე იყო უნივერსიტეტის დაპრეზიდის პირველ დაუებში გაწეულ მუშაობის, იკონებს მრავალ დაბრკოლებებს, სიძნელეთ, რაც დაძლეულ იქნა ჩეკენი მეცნიერების თავდადებული მუშაობით და საქმის სიყვარულით.

პირებ გ. ყიფიანმა წაკითხა უნივერსიტეტის პირველი სტუდენტის ქ-ნ მედეა ლამბაშიძის მოგონება. მოგონებებით და სიტყვებით გმოვიდნენ: ბ. ბ. შ. კალანდაძე, ლ. ტიტვინიძე, ნ. კურულიშვილი. წაკითხული იქნა სიტყვები ბ-ნ ს. ჭირაჭაძის და სხვების.

ყველამ მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება.

აღმ. შათირიძე კოლის მოწხვენება,

ამაწლის 31 მარტს—მწერალთა და კურნალისტთა გამგეობის მიერ მოწყობილ იქნა ქართველთა საჯარო კრებაზე ბ-ფ ალექსანდრე შათირიშვილის მოხსენება შემდეგ თქმაში:

«საგმობლოს განცდა თანამედროვე ქართულ პოეზიაში». მოსხენება მოსმენილ იქნა დიდის ინტერესით. ფრიდა შინაარსიანმა მოსხენებამ დამსწრე საზოგადოებაშე დასტოალრმა შთაბეჭიდილება.

5-6 მეტი დაღისას ხსოვნას.

მძიმე და იდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცა ალა ამაწლის 7 პპრილს. ქ-ნი მეტი იყო განსკენებული კოკი და დიდიანის მეუღლე, დიდი სიმონ წერეთელის ასული. თავად სიმონ წერეთელს ხშირად იჩრევნენ ქუთაისის თავადა-ზენაურთა გუბერნიის მარშლათ. ის იყო ფრიად თავდაბადი და ლიბერალური აზროვნების ადამიანი. ამხრივ ნებას გადასახმეს თავის მოვიკონო ამ დიდი პიროვნების—დამახასისებელი შემთხვევა. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქუთაისში გამაგრენა ჰითაურის ს. დ. ორგანიზაცია— მივერდი კ. ჭუმბურიძესთან, რომელმაც მითხოვა შემდეგი: ივ- გომართელის ბინაზე არიან გაჩერებული ნ. ე. რე ანი და ვლ. მგელაძე. მათი იქ დატოვება შეუძლებელია გავსწრე მაშინ ნებ სიმონ წერეთლის ბინისკენ. განახლები ქ-ნი მეტი შეხვედა. გა- ეხართა ჩემი ნახვა. აუხსენი, მშირდება ბინა ორი ადამიანის- თვის. კიდევ ზაქარია გურული? წამოიძახ ლიმერით ქ ნ მე- რიმ და მითხოვა, წად დედა ინახულე მარტო არისო (ზ. გურუ- ლი გამოყვანილი იქნა ციხიდან მარშალის თავდების ქვეშ). ბინაზე დამხვდა მარტო ქ-ნი ტასო. ფრიად გაეხარდა ჩემი ნახვა, დაწვრილებით გამომკითხა ჰითაურის ამბეჭი. როცა გაუმჯობეს ვსხოვვ ორი კაცისთვის ბინა. მიპასუხა, ყაჩალები არ მომიყვანო. თუ თქვენი პარტიის ხალხია—უსათუოდ მა- ვილებთო. უთხარი: ნო კორდანია და ვლასა მგელ ადეა მე- ქი. ამ წუთში მოიყვანო, სიხარულით გავაძიდი გარეთ. ვინა- ხულე ნო და ვლასა. ნო ჩოხა-ახალქაში იყო მორთული. ზავ სათვალებს ატარებდა; ჩავსვი ეტლში და საღამოს მიეკ- დით ქ-ნ ტასოსთან. დიდი ოთახი გამზადებული იყო ორი ლოგინით, საწერ-მაგიდით. დიდი ხანი არ გასულა მობრძან-

და მარშალი. ჩამოვართვი მუდირი, სიცილით მითხვა: «შენ კარგ საქმეზე არ იქნები მოსული». ო... მუდირი სულ ჩინ-მელ-ლებით იყო გაცედილი.

ქ-ნ ტასომ წარუდგინა სტუმრები. გაეცნენ, დასხდენ და გააძეს ტკბილი საუბარი... ასე ხელს უწყობდა მთელი ოჯახი პროგრამიულ მოძრაობას.

ასეთივე მოყვანის, კეთილშობილი, ყველაზე შზრუნვადი, დამხმარე იყო ბ-ნ კაკის და შერის მთელი ოჯახი უცხოვთში. ე-ნ მერიმ თავის შრომით ხშირად ჩიკოვდ სივიწროეში მყოფია გამოჩარდა და განათლება მისკა თავის შეიღებს.

შის განშორებაშ ლრმაზ დაამწუხრა მთელი ქართველი საზოგადოება. შიცვალებული 12 პრის გადმოსცვენებული იქნა ქართულ ეკლესიაში. შემდეგ დიდალ საზოგადოების თანადასწრებით დასაფლავებული ს. ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე.

კუბის ამკობდა მრავალი, ცოცხალი ყვავილებისგან გა-
კეთებული გვირგვინები, მათ შორის ქართულ სათვისტომ-
სან და აგრეთვე გვირგვინი ქართული წარწერით—ჭიათუ-
რელ ახლო მეზობლებილან.

დაუკინიშვარი დარჩება ქ-ნ მერის ხსოვნა ქართულ საზოგადოებაში. საუკუნოდ იყოს ხსენება—დიდი ქართველი მანაცოლსანის.

ოჯახის მუდამ ერთგული მეცნბარი,
ვალიგვ ჩუბინივ.

ძ-60 ევა აიგილერ.

შპილე ავადმყოფობის შემდეგ, ამაწლის 26 თებერვალს, — გარდაიცვალა ქ. ნი ევა, გულშემატკივარი და დამხმარე ქართველობის.

«ჩვ. დღ.» რედაქცია გულშრელ თანაგრძნობას უქადებს მის ჯაჭვობას და მეგობრებს.

୩୦୩୦୩୦ ପାର୍ଶ୍ଵକୀୟ

ამატლის 12 პრილს მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა ფილიპე შარაძე, განსკვენებული დაკრძალული იქმნა 17 პრილს სოჭელ ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე.

မိမ်ချေသူမှတ်တမ်းများကိုလည်းကောင်း၊ အမြန်မြန်များကိုလည်းကောင်း၊ မိမ်ချေသူမှတ်တမ်းများကိုလည်းကောင်း၊ အမြန်မြန်များကိုလည်းကောင်း၊

1914 წლიდან ის წევრია არალეგალურ ახალგაზრდა სოკი-
ალისტ-დემორალისტთა ორგანიზაციისა. რე მედ მაკ გულ-

საჩინო როლი ითამაშა ქართულ მოსწავლე ახალგაზრდაში ეროვნულ რეკოლუციონურ შეგნების გაერცელების საქმეში. და როდესაც 1917 წლის აპრილში თებერვლის რეკოლუციის წყალბით შესაძლებელი გახდა ამ ორგანიზაციის პირველ თავისუფალ კონფერენციის მოწვევა, ფილიპე შისი ერთი ხელმძღვანელთაგანია. უნივერსიტეტში შესვლისთანავე ის სტუდენტთა კორპორატიულ მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოს წევრია და როგორც ასეთს ხაშუალება მიეცა გაცნობოდა მაშინდელ წევნი ეროვნულ-სახელმწიფო ბრძოლის მართველობის წევრებს. ფილიპე შარაძე მონაწილეობა მიიღო მისთვის დამახასიათებელ თავდადებით და ენტუზმიით ნორჩი რესპუბლიკის ყველა თავდაცვითი ბრძოლებში. წევნი ქვეყნის უცხოელთა მიერ დაპყრობით, დასრულდა ფილიპე შარაძის ცხოვრების რომანტიული პერიოდი. საოცუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ უთანასწორო შრძოლაში ფილიპე შარაძე პირველ რიგებშია. ამ წლიდან დაწყებული სამშობლოს დატოვებამდე, აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, ე. ი. 4 წლის განმავლობაში ძნელი გამოსარკვევია როდის ის იყო თავისუფალად და როდის მეტებში დატყვევებული. მიუხედავად ამისა, მან მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა მნიშვნელოვან გამოსვლებში. ის მამწყობთაგანია იმ ფიცის, რომელიც დაპყრობის პირველ დღეებში თბილისის მოსწავლე ახალგაზრდაში დასროლისადვის ძმათა სასაფლაოზე. ფიცი შეიღების მიერ მიცემული მამების მიმართ, რომ ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსაღენებად.

აგვისტოს აჯანყების საყოველთაო მზადებაში მან თავი დან ბოლომდე მჩურვალე მონაწილეობაში მიიღო. ის იმთავითვე აღმოჩედა სოციალისტ-ფედერალისტთა იმ წრეში, რომელიც აჯანყების მიზანშეწონილების იდეისას ურგებრევა იღებდა. აჭარის დამოუკიდებლობის კომიტეტმა,—რომელსაც გიზო ანჯაფარიძე და გიგა ჩიქოვანი ხელმძღვანელობდნენ,—ის დანიშნა ცენტრთან კავშირისად. წითელის ნაცერევ გამოსვლის გამო, ის თბილისში გადაიხეხა და ამით ის უეჭველ ჩავარდნას და დახვრეტას გადაუჩრა.

აჯანყების მეათე დღეს, მაშინ დამკომი უკვე დანებებული იყო, როდესაც ცნობილ ჩეკისტმა მიქაძემ მიაგნო ფ. შარაძე და დაატუსალა. ჩეკაში დიდი წამების შემდეგ ის პირობით გაანთავისუფლეს. მან შესძლო ჩეკისტების მეთვალყურეობიდან თავი დაეძვრინა და მესამე დღეს თავი გურიას წევარა. ის იქ შეუერთდა ტყეში მყოფ აჯანყებულებს და მათთან ერთად ნოემბრის რიცხვებში საბოლოოდ დასტურა მშობლიცური მიწა.

საფრანგეთში ჩამოსვლისას, მან იმთავითვე აღღო აუდო მისთვის შექმნილ ახალ ვითარებას. ის ხშირად იგონებდა თავის ბაბუას, კარის მდვრელს, რომელიც სოფიო გურიელს

თან ახლოდა ტრაპიზონში მისი გადმოხეყვილ ობისას. ის საფუძვებით გრძნობდა, რომ ოჯახური წარსული მას ავალდებული და.

ამ ღრუიდან მას წილად ხედა სივიწროვე, სიღარიბე, ტანჯვა, მაგრამ მას ეს გადაქონდა ხალისით. შტკიცე ნების-ყოფილ და შეუტყველელი იმედით, რადგან მას გააჩდა ლრმა რწმენა იმისა, რომ ის ემსახურებოდა თავის ქვეყნის გათა-ვისშეფლების წმინდა საქმეს.

უცხოეთში არა მარტო თავის თანამემამულეებში მან
დაიმსახურა ყველას პატივისცემა, მიიპყრო ყველას ყურა-
ლება თავის სიღიზე, სიღარბაისლით. თავდაცლით და
იშვიათ უანგარობით. არასოდეს უძებნია სხელი და დროდები;
სხვებს კი ახალისებდა, წინ სწევდა. კარგი მეგობარი, ჩუმი
გარევნულად, ის იყო ამაყი მტრისა და უსამართლობის მი-
მართ. მართალია უკანასკნელ წლებში ის მეტათ დასუსტე-
ბული იყო ფინიკურად, მაგრამ მას არასოდეს არ დაუკარ-
გას თავის ხალხის საბოლოო გამარჯვების იმედი. ის ეკუთ-
ვნოდა იმ მოწინავე თაობის რაზმს, რომელიც დამოკიდე-
ბელ, ნორჩ სახელმწიფოს დასაცავად წიგნს იარაღზე ცვლი-
და, რომელსაც არ უნახავს მოსვენება, არ უგემია დაწყნარე-
ბული ცხოვრება და ოჯახის სითბო.

ფილიპე შარაძე სულით და ხორცით შეეწირა ჩვენი ერის დამოუკიდებლობის განხორციელების იდეიის. ჩვენი მამების და ქმების წინაშე ის ვალმოხდილი წარსდგება. მისი თანამებრძოლი და მომავალში თავისუფალ ქართველ თაობები, მისი უმწიკვლო პიროვნების ხსოვნას მუდამ თბილი გრძნობით და მაღლობით შოთხესინიდას.

ნიკო ურუმაძე.

საქართველოს სოც.-ფედ. პარტიის სახ—ლი ბიურო და «წ. ტრ.» რედაქცია გულწრფელ თანაზღანობას უცხადებს თავის მომენტ სოც.-ფედ. პარტიას, მეცნობრებს—ლიტერატური პატრიოტის ფ. შარაძის გარდაცვალების გამო.

ବୋପିତାରୀ କେନ୍ଦ୍ର ମେଲିଚାପଣ

ქვემო იმპრეტში სოფელ ჩხეითში ღარიბ ჯვანში დაიბადა. წერა-კითხვა იქვე ისწავლა სოფლის სკოლაში.

ჯერ კიდევ ბავში სიღარიბემ ქალაქ ბათომში გადაის-
როლა. ხელოსანთა შეგირდად მუშაობდა. ნიჭი გამოიჩინა.
კარგი ხელოსანი დადგა. ჩინებული ოსტატი გამოვიდა: ქარ-
თული უნაგრების, ფეხსაცემელების, ქამრების, დამბაჩების
დუღუების, მათარების და სხვ.

ଦ୍ୱାତରମଶି ହିମପୁଷ୍ପାଲୀବନ୍ଦରା ମିଳିବି କାଶିଗାତି. ଶ୍ରେଣୀତଥିବିଲେ ଏହା ଶ୍ରେଣୀପାଇଁ କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ୟରେ ନିର୍ମିତ ପ୍ରକଟାଯୁକ୍ତବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ ଦେଇଛି।



ბებს. დიდი პატივისმცემელი იყო გამოჩენილი ოსტატების. ხშირად იტყოდა: «ლევან ყურჭუმელია რომ ხანჯლის ტარს გათლიდა მის ნახვას არაფერი ჯობდათ». სიამოვნებით იგონებდა სხვა ხელოსნებსაც: ჯიშკარიანს, ჰაჯი ჰალის, ის-მაილას, ჭეიშვილს, კოხტეიძეს და სხვებს.

ნიკა, თავისი ბუნებით უფრო ქალაქელი იყო ვინგე სოფ-ლელი. ბათომში ჩამოიხვეწა მისი ხელოსნური ხასიათი და გემოვნება. როგორც ხელოსანი გამგონე და დამჯერი იყო. მუშტრის გემოვნების პატივისმცემელი და ანგარიშის გამწევი. იტყოდა: «კარგი ხელოსანი მუშტრის შექნილია».

არ კმაყოფილდებოდა ხელოსნობაში დაკანონებული ისილამაზის ნორმებით. ცილინდრი გალამაზებას, ქართული ხელოვნების მოყვარულთა გემოვნებაზე.

საქართველოდან გადმოხვეწილი ქალაქ მარსელში ცხოვრობდა. ომის შემდეგ პარიზში გადმოსახლდა. ცხოვრობდა ბოსკეს ქუჩაზე. სადაც გახსნა პატარა სახელოსნო.

საქართველოში ხანშიშესულები ბებიები, ბაბუქები, მშობლები და სხვები ბავშვებს უჩიჩინებდნენ: «თუ გინდა ბედნიერი იყო უბედურებზე იზრუნეთო».

ნიკა ძევლი ჩვეულების გამყოლი იყო და ამაყობდა კი. დეც. მე ის გავიცანი როცა გაჭირვებული მეგობრისთვის დახმარებას აგროვებდა.

ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს იწიდავდა გულლია ენამოსწრებული ხელოსანის პიროვნება. თითონაც უყვარდა ხალხი და მისი სახელოსნო, უტუ მიწავას სამცემლოსავით, ხალხით იყო სავსე. იქ თავს იყრიდნ ქართული ხელოვნების მოყვარული, მუშტრები. ხალისიანი საუბარის მსმენელები და ავტორები. საუბარის შინაარსი მუდამ იყო საქართველოს წარსული და მომავალი, ხალხის ბედი და უბედობა.

მისი სახელოსნო იყო ჩვეულებრივი ძევლი დროიდან შემორჩენილი. საქართველოში ბევრი იყო. საზოგადო დ ხელოსნებს ქართველი ადამიანის ცხოვრებაში სიხალისე და გამძლეობა ჟეპქონდა, რაც ახალმა დრომ გადაივიწყა, სხვა მრავალ კეთილ ჩვეულებასთან ერთად. სამწუხაროდ.

ნიკა დიდად აფასებდა ქართული ძევლი კულტურის და ნატოვარ ნაშთებს. სწუხდა, რომ ბევრი რამ იკარგება და ახალი ცხოვრება მოდიოდა მისთვის უცნობი და შეუსაბამო. მას ყველა მოვლენაზე თავისი აზრი პქანდა. უბრალო მუშა ხშირად გვაკვირვებდა თავისი აზრით.

საბჭოთა წარმომადგენელმა სცადა მისი მონაცემება და საქართველოში დაბრუნება უჩინა. ნიკამ ცივი უარი სტკიცა. მოხდენილად უპასუხა: «ციმბირში წასვლას აქანა უ და შირჩევნია».-ო.

საზოგადოდ ძალიან ენამახვილი იყო. ხუმრობა და მოხდენილი სიტყვის თქმა ისევე კარგად ეხერხებოდა როგორც წილა-მესტისა და მათარების შეკერა. ხშირად ვიგონებთ მის გამოთქმულ მოსწრებულ გამოთქმებს და ეწუხვართ. ჩვენთვის ერთგვარი დანაკლისი აღარ გაცოცხლდება.

სანამ ცოცხალი იყო ერთგულად ემსახურებოდა თავისი ქვეყნის ხელოვნებას. ჩვენ სათვისტომოში ქართული ფეხსაცმელები და სხვა კარგად შესრულებული ქართული ხელოვნების ნიმუშები მისი მუჟაითობის შედეგია. რაც კი კავკასიური რამე გამოჩნდა, ოპერა თუ სხვა წარმოდგენა, ფეხსაცმელებით ნიკაბ მოაწყო.

საზოგადოთ ფრიად საჭირო პიროვნება იყო ჩვენი საზოგადოებისათვის. სამწუხაროა მისი დაკარგვა. მისი შემცირები ალარავინ არის. ნიკა იყო ძველი ხელოსნების მეძევილე და უკანასკნელი ჩვენს ქართულ სათვისტომოში.

ნიკა მეტეაძე გარდაიცვალა ამაწლის 13 თებერვალს მოხუცებულთა თავშესაფარში, საიდანაც მისმა მეგობრებმა ის გადმოასცენეს და დასაფლავეს 17 თებერვალს სოფელ ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე.

ნ. ყერელიმვილი.

ალექსანდრე მელიავა.

ამაწლის 1 მაისს გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა ალ. მელიავა.

განსვენებული ცნობილი იყო ქართულ საზოგადოებაში, როგორც მგრძნებარე პატრიოტი, უსაზღვრო მოყვარული თავის სამშობლოსი. უცხოეთში—მან მთელი თავისი ცხოვრება გაატარა მძიმე შრომაში და გამოჩარდა თავისი წევდები, მისცა ყველას უმაღლესი განათლება.

ალექსანდრე იყო დაჯილდოებული ბუნებრივი ნიჭით—მან შეძლო დაებეჭდა თავისი პატრიოტული შაირები—ცრანგულ ენაზე.

განსვენებული 7 მაისს გადმოსვენებული იქნა ქართულ ეკლესიაში და მრავალრიცხვის საზოგადოების თანადასწრებით დეკანოზ ილიას მიერ გადახდილი იქნა პანაშეიდო.

განსვენებულის სურვილის თანახმად, მისი შვილები ცდილობენ მამის გადასვენებას საქართველოში.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია ლრმა მწუხარებას გამოსთხვამს ჩვენი თაამგრძნების და მეგობრის ალ. მელიავას უძროოდ დაკარგვის გამო.

ԵՐԱ Մ ԱՐԿ Հ Ա Բ Ո Ա Տ,

դաձագընօս 400 բլուետազօս մաշացընար
 իցնացօս ցաւացացընար.

Ե թ մ ա և ֆ ո թ յ ե:

| | | | | | | |
|---------------------|---|---|---|---|-----|---------|
| պ. Շաքշուլուկ | . | . | . | . | 250 | դրանցու |
| Madame S. Dondoua | . | . | . | . | 200 | , |
| ոլլ. Ֆրանչուս | . | . | . | . | 200 | , |
| Սովոր Սատուսէրմո | . | . | . | . | 100 | , |
| ց. Բարամուկ | . | . | . | . | 100 | , |
| յալծաւոն ցա | . | . | . | . | 100 | , |
| լ. Արշակունյաց | . | . | . | . | 90 | , |
| ան Եղիշչանյաց | . | . | . | . | 50 | , |
| Ռ. Հայունուկ | . | . | . | . | 50 | , |
| արհիուլ Ցառացանյաց | . | . | . | . | 50 | , |
| ց Կորճանու | . | . | . | . | 50 | , |
| Ծարուց Կունդրու | . | . | . | . | 50 | , |
| Ց. Տրյուրու | . | . | . | . | 50 | , |
| յուրուս Ցառացանյաց | . | . | . | . | 50 | , |
| այրասուն Եղիշչանյաց | . | . | . | . | 50 | , |
| լ. Հայացանյաց | . | . | . | . | 20 | , |
| ց. Բայազարու | . | . | . | . | 20 | , |
| ալ. Ծարուց | . | . | . | . | 20 | , |
| ք. Հայունու | . | . | . | . | 20 | , |
| ք. Տաճանամր | . | . | . | . | 10 | , |
| ց. Ցառացանյաց | . | . | . | . | 10 | , |



«ՀՅԵՒ ՇԽԱՎԱ»-ի ԱՐԵՆԸ.

| | | | | |
|--------------------------|---|---|-----|---------|
| օրանու յարտզելութիւն | . | . | 200 | դրանցու |
| Ցունենու հաճուռ | . | . | 100 | , |
| ց. Բարամուկ | . | . | 100 | , |
| Ռ. Հայունուկ | . | . | 50 | , |
| Սովոր Սուրբ. Առցանունցու | . | . | 60 | , |



«ԲՅԵՒ ՇԽԱՎԱ» ցամաքիւրա մշոմլցա մշմաց մօսամարտնչ:

P. Inskirveli

17, rue de la Santé, Paris (13^e)

Gérant : M. Stouroua